საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №28

2016 წლის 27 მაისი,
ქ. ბათუმი

„ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესიგანათლებისშესახებ" საქართველოს კანონის 21-ემუხლის 1-ლი პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დამატება, კერძოდ, N111 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7.საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, სტუდენტი ყოველი სასწავლო სემესტრის **დაწყებამდე ორი კვირის ვადაში** გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს ელექტრონულად ძირითადი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას. სტუდენტსუფლებააქვს შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში (დასაბუთებული განცხადების წარმოდგენისას) მხოლოდ ერთხელ შეიტანოსცვლილება ელექტრონული რეგისტრაციის ფორმაში, მაგრამ არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე 2 კვირისა.

8. დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტის მიერ უნდა განხორციელდეს **არაუგვიანეს მე-4 სემესტრისა, ძირითად საგამოცდო პერიოდში.** დამატებით სპეციალობაზე რეგისტრაციისათვის სტუდენტი მიმართავს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მართვის დეპარტამენტს და ავსებს შესაბამის ფორმას. ამ სტრუქტურული ერთეულის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტთა დამატებით სპეციალობაზე რეგისტრაციის შესახებ. სტუდენტის მიერ დამატებითი სპეციალობის ფარგლებში

დარეგისტრირებული საგნები/მოდულები აისახება აგრეთვე, ელექტრონული რეგისტრაციის ფორმაში. არჩეული დამატებითი სპეციალობისშეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის (სემესტრის) დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა. სტუდენტი უფლებამოსილია ასევე: არჩევითი კურსი/მოდული, რომელიც აირჩია და გაიარა წინა სემესტრში, მაგრამ ჩაიჭრა, შეცვალოს იმავე ოდენობით კრედიტის მქონე სხვა არჩევითი სასწავლო კურსით/მოდულით; შეფასების გაუმჯობესების მიზნით ხელახლა დაარეგისტრიროს და ისწავლოს იგივე სასწავლო კურსი, ასეთ შემთხვევაში სტუდენტს საბოლოო შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი. ამ მუხლში აღნიშნული უფლებებით სტუდენტი სარგებლობს საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადაში და სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების ზღვრული ოდენობის ფარგლებში. "

2. დადგენილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებსა და მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

გურამ ჩაგანავა